№1992 2013 წლის 19 დეკემბერი ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „ფასადისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ქ. თბილისში, ქუთათელის ქ. (ყოფ. შჩორსის) N3-ში მდებარე 341 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობა საერთო ფართით 980.5 კვ.მ. (მ/შ I სართული - 181.48 კვ.მ., II სართული - 183.75 კვ.მ., III სართული - 183.36 კვ.მ., IV სართული - 251.91 კვ.მ., ტერასა - 180 კვ.მ.) (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 01.10.13.017.051) პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1 000 (ათასი) აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარად საკუთრებაში გადაეცეს შპს „ფასადს“ (საიდენტიფიკაციო კოდი N202245864).

2. საპრივატიზებო პირობებად განისაზღვროს:

ა) საპრივატიზებო თანხის გადახდა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში;

ბ) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 წლის ვადაში, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ქ. თბილისში, ქუთათელის ქ. (ყოფ. შჩორსის) N3-ში მდებარე 600 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N01.10.13.017.049) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული პროექტის მიხედვით, პირადად ან/და მესამე პირის მეშვეობით 1200 კვ.მ. ფართის სასწავლო დანიშნულების შენობის მშენებლობა, მისი ექსპლუატაციაში მიღებისათვის დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილება და რემონტი;

გ) ამ განკარგულების მე–2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით ნაკისრი ვალდებულების შესრულებამდე გადაცემული ქონებით (გარდა 180 კვ.მ. ტერასისა) სსიპ - ქ. თბილისის N161 საჯარო სკოლის სარგებლობის უფლებით უზრუნველყოფა.

3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ამ განკარგულების შესრულების მიზნით განახორციელონ კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**